ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №701

2024 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთისთვის და იაკობ ხვედელიანის ჩიხისთვის პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის ნიკოლოზ მაყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთს და იაკობ ხვედელიანის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის ნიკოლოზ მაყაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ნიკოლოზ მაყაშვილის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. სამგორის რაიონში, იაკობ ხვედელიანის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ნიკოლოზ მაყაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



http://www.matsne.gov.ge